

ქალაქ ბათუმის საკრებულოს
დადგენილება №

2026 წლის „ მარტი
ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №53 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 23/12/2025, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.132.016736) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე მაისურაძე

თავი I

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	438,882.9	458,656.7	500,350.0		500,350.0
გადასახადები	114,232.4	121,066.8	135,477.4		135,477.4
გრანტები	185,980.6	232,986.9	248,964.1		248,964.1
სხვა შემოსავლები	138,670.0	104,603.0	115,908.5		115,908.5
ხარჯები	231,633.7	283,877.3	302,533.4		302,533.4
შრომის ანაზღაურება	43,183.6	56,277.3	61,900.6		61,900.6
საქონელი და მომსახურება	71,743.3	93,728.6	102,361.5		102,361.5
პროცენტი	4,768.3	6,122.5	6,523.7		6,523.7
სუბსიდიები	22,090.3	31,898.2	31,004.9		31,004.9
გრანტები	2.6	15.0	15.0		15.0
სოციალური უზრუნველყოფა	20,033.3	21,451.3	28,383.5		28,383.5
სხვა ხარჯები	69,812.2	74,384.4	72,344.2		72,344.2
საოპერაციო სალდო	207,249.3	174,779.4	197,816.6		197,816.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	136,530.5	222,755.1	238,987.7		238,987.7
ზრდა	144,589.1	235,755.1	247,987.7		247,987.7
კლება	8,058.7	13,000.0	9,000.0		9,000.0
მთლიანი სალდო	70,718.8	-47,975.7	-41,171.1		-41,171.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	34,343.6	-92,906.3	-82,650.0		-82,650.0
ზრდა	34,343.6				
ვალუტა და დეპოზიტები	34,343.6				
კლება		92,906.3	82,650.0		82,650.0
ვალუტა და დეპოზიტები		92,906.3	82,650.0		82,650.0
ვალდებულებების ცვლილება	-36,375.2	-44,930.6	-41,478.9		-41,478.9
კლება	36,375.2	44,930.6	41,478.9		41,478.9
საშინაო	36,375.2	44,930.6	41,478.9		41,478.9
ბალანსი	0	0	0	0	0

2. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	446,941.6	471,656.7	509,350.0		509,350.0
შემოსავლები	438,882.9	458,656.7	500,350.0		500,350.0
არაფინანსური აქტივების კლება	8,058.7	13,000.0	9,000.0		9,000.0
გადასახდელები	412,598.0	564,563.0	592,000.0		592,000.0
ხარჯები	231,633.7	283,877.3	302,533.4		302,533.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	144,589.1	235,755.1	247,987.7		247,987.7
ვალდებულებების კლება	36,375.2	44,930.6	41,478.9		41,478.9
ნაშთის ცვლილება	34,343.6	-92,906.3	-82,650.0		-82,650.0

მუხლი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 500,350.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
შემოსავლები	438,882.9	458,656.7	500,350.0
გადასახადები	114,232.4	121,066.8	135,477.4
გრანტები	185,980.6	232,986.9	248,964.1
სხვა შემოსავლები	138,670.0	104,603.0	115,908.5

მუხლი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 135,477.4 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
11	გადასახადები	114,232.4	121,066.8	135,477.4
113	გადასახადები ქონებაზე	50,579.8	48,000.0	57,000.0
1131	გადასახადები უძრავ ქონებაზე	50,579.8	48,000.0	57,000.0
11311	ქონების გადასახადი	50,579.8	48,000.0	57,000.0
113111- 113112	საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	42,709.2	43,000.0	49,000.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5,685.9	2,700.0	5,700.0
113114- 113115	მიწაზე ქონების გადასახადი	2,184.7	2,300.0	2,300.0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადები	63,652.5	73,066.8	78,477.4

მუხლი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 248,964.1 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
13	გრანტები	185,980.6	232,986.9	248,964.1
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	334.1	202.1	426.1
1311	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	334.1	202.1	426.1
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	185,646.5	232,784.8	248,538.0
	<i>მიმდინარე დანიშნულების გრანტები</i>	<i>102,194.4</i>	<i>100,149.0</i>	<i>104,738.0</i>
133111	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან		490.0	538.0
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი		490.0	538.0
133121	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	102,194.4	99,659.0	104,200.0
1331211	სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	102,194.4	99,659.0	104,200.0
	<i>კაპიტალური დანიშნულების გრანტები</i>	<i>83,452.2</i>	<i>132,635.8</i>	<i>143,800.0</i>

133211	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	128.6	294.8	
1332119	სხვა ტრანსფერი	128.6	294.8	
133221	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	83,323.6	132,341.0	143,800.0
1332212	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	83,323.6	132,341.0	143,800.0

მუხლი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 115,908.5 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	138,670.0	104,603.0	115,908.5
141	შემოსავლები საკუთრებიდან	13,628.3	14,053.0	11,208.5
1411	პროცენტები	11,193.6	11,617.0	8,408.5
14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	11,193.6	11,617.0	8,408.5
1415	რენტა	2,434.7	2,436.0	2,800.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	101.9	180.0	190.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაფნობა და სხვა) გადაცემიდან	2,332.8	2,256.0	2,610.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	79,698.9	76,050.0	86,000.0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	78,953.4	76,050.0	85,500.0
14223	სანებართვო მოსაკრებლები	2,971.4	1,500.0	4,600.0
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	2,971.4	1,500.0	4,600.0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1.3		
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი			
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	70,141.5	68,000.0	71,000.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	4,806.6	6,000.0	9,000.0
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	189.9		
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	842.7	550.0	900.0
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	745.5		500.0
14232	შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	745.5		500.0
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირაფნობა და სხვა) გადაცემიდან	745.5		500.0
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	13,709.6	10,000.0	15,000.0
144	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	31,633.2	4,500.0	3,700.0

მუხლი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 302,533.4 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
2	ხარჯები	231,633.7	283,877.3	302,533.4
21	შრომის ანაზღაურება	43,183.6	56,277.3	61,900.6
22	საქონელი და მომსახურება	71,743.3	93,728.6	102,361.5
24	პროცენტი	4,768.3	6,122.5	6,523.7
25	სუბსიდიები	22,090.3	31,898.2	31,004.9
26	გრანტები	2.6	15.0	15.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	20,033.3	21,451.3	28,383.5
28	სხვა ხარჯები	69,812.2	74,384.4	72,344.2

მუხლი 7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 238,987.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 247,987.7 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	159.0	235.2	801.5
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	108,507.9	189,234.8	205,257.7
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	18,317.8	20,317.3	10,662.1
04 00	განათლება	10,358.1	15,410.7	20,404.2
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	5,405.1	7,863.1	5,764.7
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	154.4	58.5	132.5
07 00	ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება	249.0	1,070.8	728.8
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	1,437.9	1,564.7	4,236.2
სულ		144,589.1	235,755.1	247,987.7

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 9,000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	8,058.7	13,000.0	9,000.0
311	ძირითადი აქტივები	387.6		
312	მატერიალური მარაგები	22.9		
314	არამწარმოებლური აქტივები	7,648.2	13,000.0	9,000.0

მუხლი 8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 550,521.1 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
7	სულ	376,222.8	519,632.4	550,521.1
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	26,174.5	40,550.9	45,185.3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	10,352.9	17,902.6	18,799.1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	10,352.9	13,792.6	15,299.1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა		4,110.0	3,500.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	11,053.3	16,115.8	19,562.5
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება	11,053.3	16,115.8	19,562.5
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	4,768.3	6,122.5	6,523.7
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში		410.0	300.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	111,379.4	178,226.7	149,562.2
7045	ტრანსპორტი	109,986.8	176,906.7	148,136.1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	109,986.8	176,906.7	148,136.1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1,392.6	1,320.0	1,426.1
705	გარემოს დაცვა	39,615.2	45,799.1	62,806.2
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	18,310.4	23,430.0	25,812.9
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	21,304.8	22,369.1	36,993.3
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	83,583.4	111,792.6	140,208.5
7061	ბინათმშენებლობა	33,053.6	28,500.1	36,455.6
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	29,438.1	31,238.9	34,945.7
7063	წყალმომარაგება	7,206.8	33,635.1	44,872.1
7064	გარე განათება	6,944.8	7,327.8	12,500.9
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	6,940.1	11,090.7	11,434.2
707	ჯანმრთელობის დაცვა	8,583.2	10,482.2	13,770.4
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	1,729.2	2,053.0	2,101.0
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	1,729.2	2,053.0	2,101.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	266.2	279.5	305.5
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	266.2	279.5	305.5
7073	საავადმყოფოების მომსახურება	1,140.9	1,343.6	1,343.6

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
70732	სპეციალიზირებული საავადმყოფოების მომსახურება	69.0	113.6	113.6
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	1,071.9	1,230.0	1,230.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	5,446.9	6,806.1	10,020.3
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	47,256.4	59,918.7	51,076.3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	37,786.0	43,962.5	35,721.3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	9,203.0	15,707.0	15,135.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	267.5	249.2	220.0
709	განათლება	40,069.9	54,520.3	65,314.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	39,894.9	54,076.3	64,908.6
7094	უმაღლესი განათლება	130.0	170.0	170.0
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება	130.0	170.0	170.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	45.0	274.0	235.9
710	სოციალური დაცვა	19,560.7	18,341.9	22,597.7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	4,091.1	5,057.0	5,444.8
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	11,457.6	13,284.9	17,152.9
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	4,012.0		

მუხლი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი საოპერაციო 197,816.6 ათასი ლარის ოდენობით:

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -41,171.1 ათასი ლარის ოდენობით:

მუხლი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -82,650.0 ლარის ოდენობით:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 82,650.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
32	ფინანსური აქტივების ცვლილება	34,343.6	-92,906.3	-82,650.0
	ზრდა	34,343.6		
321	საშინაო	34,343.6		
3212	ვალუტა და დეპოზიტები	34,343.6		
	კლება		92,906.3	82,650.0
322	საშინაო		92,906.3	82,650.0
3222	ვალუტა და დეპოზიტები		92,906.3	82,650.0

მუხლი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -41,478.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 41,478.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
33	ვალდებულებების ცვლილება	-36,375.2	-44,930.6	-41,478.9
	კლება	36,375.2	44,930.6	41,478.9
331	საშინაო	36,375.2	44,930.6	41,478.9

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2026 წლის ბოლოსთვის:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	ვალის ნაშთი 2026 წლის ბოლოსათვის
	ვალის საპროგნოზო მოცულობა	323,736.1
1	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - I ფაზა (KfW) *	35,689.3
2	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - II ფაზა (KfW) *	15,983.9
3	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - III ფაზა - (KfW) *	
4	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - III ფაზა - სანაღვრე (KfW) *	17,681.8
5	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - IV ფაზა (KfW) *	40,264.7
6	ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - V ფაზა (KfW) *	165,943.0
7	მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში	46,965.0
8	ბათუმის ავტობუსის პროექტი (EBRD) *	1,208.3

შენიშვნა * - საპროგნოზოდ გამოყენებული (ვერო/ლარის) კურსი 1/3.1310; 13.11.2025წ.

თავი II

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები
განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (ქვეპროგრამები) შემდეგი რედაქციით:

1 პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)
1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის მიზანი - ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია ქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გადაადგილებას, მგზავრობის დროის დაზოგვას, ქალაქში მაცხოვრებელთათვის და ტურისტებისათვის ტრანსპორტისა და ფეხით გადაადგილებისას მაღალი კომფორტის შექმნას, ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირებას, ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვას, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარებას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა; საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა; გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა;
- გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - შექმნილია სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ფეხითმოსიარულეთა შეუფერხებელი გადაადგილება.

1.1.1 გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 01 01; 02 01 04)

ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები; ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა.

1.1.2 საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდები 02 01 02; 02 01 05)

ქვეპროგრამა მოიცავს ქალაქის მთელ ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის ერთიანი თანამედროვე სტანდარტის დანერგვას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, კერძოდ, გათვალისწინებულია:

ქ. ბათუმში, ივანე მესხის ქუჩის კეთილმოწყობა.

ხახულის II შესახვევის რეაბილიტაცია (ხახულის ქუჩიდან მამია ვარშანიძის ქუჩამდე);

ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის N1-დან აეროპორტის გზატკეცილის N93-მდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, გაგარინის ქუჩის კეთილმოწყობა გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩამდე;

ქ. ბათუმში, ქეთევან წამებულის ქუჩის, ქეთევან წამებულის I, II ჩიხების და გალაქტიონ ტაბიძის I ჩიხის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, წმინდა ევდემოზ პირველი (დიასამიძის) ქუჩის კეთილმოწყობა და მესხეთის II ჩიხის სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მარეთის ქ. N2-ის მიმდებარედ ტროტუარის მოწყობა.

ქ. ბათუმში, ალ. სულაბერიძისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ. პუშკინის ქუჩამდე, ალ. პუშკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩა ბაქოს ქუჩამდე გზის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N24ა-ს მიმდებარედ ბეტონის გზის მოწყობა;

- ქ. ბათუმში, თევდორე მღვდლის ქ. N12-დან კახი კავსადის I შესახვევი N4ბ-მდე გზის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქ. N235-დან N253-მდე ბეტონის გზის მოწყობა.
- ქ. ბათუმში, ჭოროხის ქუჩის და დავით ართმელაძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;
- ხიმშიაშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩის (კობალაძის ქუჩიდან შარტავას ქუჩამდე), დავით ხახუტაიშვილის ქუჩის (ფიროსმანის ქუჩიდან შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩამდე) და ინასარიძის ქუჩის (დავით ხახუტაიშვილის ქუჩიდან ტაძრის ქუჩამდე) კეთილმოწყობა.
- ქ. ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის და შოთა რუსთაველის ქუჩების რეაბილიტაცია.
- ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის, ლუკა ასათიანის, ვაჟა-ფშაველას, 26 მაისის, დავით კლდიაშვილის, კოტე მარჯანიშვილის, ხარიტონ ახვლედიანის, სტეფანე ზუბალაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ჰაიდარ აბაშიძის, იორდან მეტაქსას, სელიმ ხიმშიაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, მიხეილ ლერმონტოვის, მურად ხინიკაძის და მემედ აბაშიძის ქუჩებზე არსებული ქვაფენილის დემონტაჟი და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა
- ქ. ბათუმში, ბაქოს ქუჩის, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩისა და თამარ მეფის გამზირის რეაბილიტაცია თბილისის ქუჩის დასაწყისამდე.
- ქ. ბათუმში, ნადიმ ნიჟარაძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა №83-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, ანა კალანდაძის ქუჩა №50-52-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, მაჭახლის ქუჩა №51-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, გოდერძი ჩოხელის ქუჩა №43-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, ურეხის დასახლება №54-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება №24-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, კახი კავსადის ქუჩა №5-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა №271-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, მუხრან მაჭავარიანის I შესახვევი №13-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, მახვილაურის ქუჩა №50-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, ანა კალანდაძის ქუჩა №53ა-ს მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, კახი კავსადის II შესახვევი №34-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა №64-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, მახვილაურის დასახლება №10-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება №32-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, დიდგორის ქუჩა №27-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, ნადიმ ნიჟარაძის ქუჩა №58-ის მიმდებარედ ხიდის რეაბილიტაცია;
- ქ. ბათუმში, მამია გოგოლიშვილის I შესახვევი №12-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, პეტრე იბერის II ჩიხი №13-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი №113-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება №14-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩის და ზღვისპირის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა;
- ქ. ბათუმში მარკოზ აჭარელის ქუჩის (მარკოზ აჭარელის ქუჩა N1-დან N15-მდე) რეაბილიტაცია;
- ქ. ბათუმში, შალვა ინასარიძის ქუჩის და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის და ფიროსმანის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;
- სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (145 მისამართი) (2026-2027წწ.);
- ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის და ხახულის ქუჩების (ალ. სულაბერიძისა და მ. ვარშანიძის ქუჩების კვეთიდან ფრ. ხალვაშის გამზირამდე) კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. ბათუმში ავგიის ქუჩის რეაბილიტაცია;
- ქ. ბათუმში შატბერდის I ჩიხი N4-N5-ის მიმდებარედ ასფალტო-ბეტონის საფარისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა;

- ქ. ბათუმში. ურეხის დასახლება N36ა-დან N38-მდე გზის ბეტონის საფარის მოწყობა სანიაღვრე ღარით;
- ქ. ბათუმში. თამარ მეფის IV შესახვევი N12 დან სასაფლაოსთან მისასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, მიხეილ შარაშიძის ქუჩა №50-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის და ბეტონის გზის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, მარკოზ აჭარელის ქუჩა №29ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის და ბეტონის გზის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, ტბეთის ქუჩა №60-ის მიმდებარედ საფეხმავლო ხიდის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, კახი კავსადის ქუჩა N76/88-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგება;
- ვიდეო-სათვალთვალო კამერების შექმნა- მონტაჟი;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის საჭირო გადაუდებელი სამუშაოები ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა

1.1.3 გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 01 03; 02 01 06)

- ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების სისტემის გაფართოებას და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კერძოდ, გათვალისწინებულია:
- გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაცია და ქალაქში არსებული გარე განათების LED სანათებით ჩანაცვლება (შეცვლა/განახლება);
 - ქალაქში არსებული დეკორატიული განათების, სკვერების, პარკების, ფასადების განათების და მინათების მოვლა-ექსპლოატაციის სამუშაოები;
 - ქ. ბათუმში იოანე ლაზის N45-დან წმინდა ნინოს დამაკავშირებელი გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში იოანე ლაზის I შესახვევი N30გ-დან იოანე ლაზის I შესახვევი N43-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში იოანე ლაზის I ჩიხი N4-დან იოანე ლაზის I ჩიხი N5-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში იოანე ლაზის I შესახვევი N30-დან იოანე ლაზის I შესახვევი N30ბ-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N58-დან წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N66-მდე მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N2-N12 ის მიმდებარედ გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში წმინდა ანდრია პირველწოდებულის პირველი ჩიხი N19-დან წმინდა ანდრია პირველწოდებულის პირველი ჩიხი N21-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი N16-დან სანაპიროსთან დამაკავშირებელი გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში წმინდა ნინოს ქუჩა N24-დან წმინდა ნინოს ქუჩა N30-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში წმინდა ნინოს ქუჩა I ჩიხი N19-ის მიმდებარედ გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში სვიმონ კანანელის ქუჩა N54-დან სვიმონ კანანელის ქუჩა N58ა-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში სვიმონ კანანელის ქუჩა N14-დან სვიმონ კანანელის ქუჩა N16-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში პეტრე იბერის I ჩიხი N5-დან პეტრე იბერის II ჩიხი N11-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში პეტრე იბერის ქუჩა N18-დან პეტრე იბერის ქუჩა N30-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;
 - ქ. ბათუმში პეტრე იბერის ქუჩა N36-დან პეტრე იბერის ქუჩა N42-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;

ქ. ბათუმში თბილისის ქუჩა N20-დან თბილისის ქუჩა N12-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;

ქ. ბათუმში თამარ მეფის I შესახვევი N8ა-დან მარკოზ აჭარელის III შესახვევი N40ზ-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;

ქ. ბათუმში თბილისის ქუჩა IV შესახვევი N10-დან თბილისის ქუჩა IV შესახვევი N12ა-მდე გზის მონაკვეთზე გარე განათების მოწყობა;

ქ. ბათუმის კათოლიკური კათედრალის შენობაზე მინათების მოწყობა;

ქ. ბათუმში ქუჩების მონაკვეთებზე გარე განათების მოწყობა (56 მისამართი);

გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი (კვტ/სთ);

ელექტრო ენერჯის ქსელზე დაერთების საფასური.

1.1.4 საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 01 07)

საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება, კერძოდ, გათვალისწინებულია:

არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;

დეკორატიული გზაგამყოფი ღობეების მოვლა-პატრონობა;

1.2 სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის მიზანი - სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ადამიანთა გადაადგილების სხვადასხვა საშუალებებს შორის, ყველაზე ეფექტიან ტრანსპორტადაა მიჩნეული. მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელის გამართული მუშაობა მნიშვნელოვანია საზოგადოების ეფექტიანი გადაადგილების უზრუნველსაყოფად. მაღალი სიმჭიდროვის პირობებში, როცა კერძო ტრანსპორტი იწვევს დატვირთულობას და ქმნის საცობებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემას ცალკე გამოჰყოფენ მისი შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელი წარმოადგენს ყველაზე იაფ გადაადგილების საშუალებას, რის გამოც საზოგადოების ფართო მასაა მისი მომხმარებელი. ყოველივე აღიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება, რაც გულისხმობს თანამედროვე, ადაპტირებულ და საჭიროების მქონე ყველა პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ სატრანსპორტო სერვისს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, პარკირების სერვისისა და მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის მართვა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულია სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.

1.2.1 მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კერძოდ:

შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა);

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისათვის“ მუნიციპალური ავტობუსების და მიკროავტობუსების შეძენის თანადაფინანსება.

1.2.2 სატრანსპორტო სისტემის განვითარების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქალაქის სატრანსპორტო მართვის სისტემების, ველო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, კერძოდ: საგრანტო პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების (ITS) განვითარება, ასევე, ველოგადაადგილების გენერალური გეგმით დასახული ველო ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ავტობუსების სპეციალური სავალი ხაზების გაუმჯობესება-გავართოების ღონისძიებების განხორციელება.

პროგრამის მიზანი - ქალაქში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა.

ქალაქის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. 2007 წლიდან მიმდინარეობს „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტი“, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხით და ქ. ბათუმის ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი გულისხმობს ქალაქის წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას.

ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;

- წყლის სისტემების რეაბილიტაცია;

- კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;

- ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - რეაბილიტირებულია წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება.

1.3.1 სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 03 01)

ქალაქის სანიაღვრე სისტემის გაფართოების და გამტარუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია;

სანიაღვრე ჭის სახურავების შექმნა;

ქ. ბათუმში, ადლიის ქუჩა №76-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №15-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №53-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

კაზინეცის ქ. №12-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

თოდოგაურის დასახლება №100-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ხახულის ქუჩა №68-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა №33-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა №85-97-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მიხეილ შარაშიძის V ჩიხი №14-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მ. შარაშიძის ქ. N56-დან N60-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ურეხის დასახლება N49-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ყადირ შერვაშიძის აღმართი N80-დან N86-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ზურაბ ნაჭყებიას ქ. N29ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ზ. ნაჭყებიას ქ. N25-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ზ. ნაჭყებიას ქ. N63-დან N51-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება N33ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქ. N265ა-265ბ-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, დიდგორის ქ. N2-დან N25-მდე და დიდგორის 1 შესახვევი N1-დან N9ა-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

მარკოზ აჭარელის III შესახვევი №69-71-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მარკოზ აჭარელის III შესახვევი №45-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, სათნოების ქუჩა №21-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, კვიპაროსის ქუჩა №1-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ისრაფილ ჯინჭარაძის ქუჩა №21-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თბილისის ქუჩა №55-დან №59-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

მატათა მოციქულის ქ. №33-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №229გ-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის და ბეტონის გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, სიონის 1 ჩიხის სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ა. შანიძის ქ. N48ბ-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, გ. რობაქიძის ქ. N37-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის N70-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

სტიქის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (2026 წ.):

კახი კავსაძის დასახლება №69-ის მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

კახი კავსაძის დასახლება №11-ის მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

მდინარე მეჯინისწყალზე, მახვილაურის ქუჩიდან აკაკი შანიძის მე-3 ჩიხი 8-12-ის მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

კახი კავსაძის ქ. №23-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

სტიქის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (2026-2027 წწ.):

მდინარე მეჯინისწყალზე, ბეთლემის ქუჩიდან მიხეილ შარაშიძის ქუჩამდე ნაპირსამაგრი კედლის; მოწყობა;

ტბეთის ქ. N60-დან თამარ მეფის გამზირამდე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

ლევ და მარია კაჩინსკების ქ. N35-დან ადლიის ქუჩის პარალელურად ადლიის ქ. N76-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა ;

ქ. ბათუმის მერიის სასაწყობე ტერიტორიაზე გამავალი სანიაღვრე არხის ფერდესამაგრი კედლების მოწყობა;

ქ. ბათუმში, თევდორე მღვდლის ქუჩის N1-დან N114-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ხახულის II შესახვევი N7-დან N16-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ნიჟარაძის ქ. №6ბ-დან ნიჟარაძის ქ. №26-მდე ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა;

ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის №21-23-25-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

პეტრე იბერის VI ჩიხი №18ა-ში სანიაღვრე არხის მოწყობა;

მამია გოგოლიშვილის ქ. №57-ის მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ბაქოს ქუჩის, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის და თამარ მეფის გამზირის თბილისის ქუჩის დასაწყისამდე კანალიზაციის ქსელის მოწყობა;

ელექტრო ენერჯის ქსელზე მიერთების საფასური;

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

1.3.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიება:

ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა;

ქ. ბათუმში, ავგის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ 2000 კვ.მ. წყლის რეზერვუარის მშენებლობა და ავგის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ რეზერვუარამდე მკვებავი მაგისტრალისა და წყლის ქსელის მშენებლობა;

მეჯინისწყლის ჭაბურღილების წარმადობის გაზრდა;

ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში სასმელი წყლის სისტემის და 300 კვ.მ. სამარაგო-საწნეო რეზერვუარის მოწყობა;

წყალმომარაგების ახალ ქსელზე დაერთების საფასურის დაფარვა (საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით - 20 მმ დიამეტრის მილი).

1.3.3 კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიება:

მეჯინისწყლის ჭაბურღილების მიმდებარე ტერიტორიების წყალარინების ქსელის მშენებლობა;

ქ. ბათუმის, ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე - სამრეწველო ზონის მიმდებარედ წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

1.3.4 ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-5 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით ნაკისრი

ვალდებულების შესრულება და მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, კერძოდ ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:

პროექტის ფარგლებში დღგ-ს და სხვა გადასახდელების თანადაფინანსება;
KfW ბანკთან შეთანხმების შესაბამისად პროექტის დამატებითი თანადაფინანსება.

1.4 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის მიზანი - ქალაქის საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურის განვითარება.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებით მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით გაუმჯობესოს ან/და შექმნას უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი პირობები.

პროგრამის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებასა და ქალაქის ურბანულ ინფრასტრუქტურაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება; მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა; მოზინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის ქვეპროგრამები: საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - გაუმჯობესებულია საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი გარემო.

1.4.1 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 02 04 01)

ქვეპროგრამის მიზანია საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა. რომლის ფარგლებში განხორციელდება:

ქალაქში არსებული მრავალსართულიანი/მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია;

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია (შეცვლა, რემონტი, განახლება);

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების და ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარისა და ელექტრო საკეტების მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე-განათების მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შექმნა-მონტაჟი და რეაბილიტაცია;

ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შესასვლელში პანდუსების მოწყობა;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოში არსებული ამორტიზირებული ვიტრაჟების შეცვლა;

საცხოვრებელ სახლებზე ლითონის პროფილური ფურცლების აკვრა;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია.

1.4.2 საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 04 02)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა.

ბათუმის მოსახლეობისთვის თანამედროვე საცხოვრებელი გარემოს შექმნისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია:

ქ. ბათუმში, ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ სოციალური სახლის მშენებლობა;
ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია;
ქ. ბათუმში, სოციალური სახლის მშენებლობა;
საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

1.5 მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის მიზანი - მუნიციპალური სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს მოვლა-პატრონობაში აქვს 44.3 ჰა მუნიციპალური სასაფლაოებისათვის განკუთვნილი ტერიტორია, სადაც ხორციელდება, როგორც მოვლა-პატრონობის, აგრეთვე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღონისძიებები, სასაფლაოების პასპორტიზაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

- მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - უზრუნველყოფილია მუნიციპალური სასაფლაოების გამართული ფუნქციონირება.

1.5.1 მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ადმინისტრირება და მართვა;

მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილ გარდაცვლილ პირთა დაკრძალვის ხარჯების უზრუნველყოფა;

1.6 ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამის მიზანი - საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კოორდინაცია.

საქალაქო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის დაგეგმვა, მოწყობა, მოვლა-პატრონობა, მშენებლობა-რეაბილიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქ ბათუმის სტრატეგიული განვითარებისათვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა;

- საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მიმდინარე მოვლა-პატრონობისა და განვითარების ღონისძიებები ხორციელდება შეუფერხებლად.

1.6.1 ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)

ქვეპროგრამის მიზანია - საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და კომუნალური საკითხების კოორდინაცია;

სხვადასხვა ტურისტული ობიექტების მართვა;

საქალაქო ინფრასტრუქტურის პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ადმინისტრირება და მართვა;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.

1.6.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)

პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციის შედგენა;

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების, მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და სხვა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციის შედგენა;

პარკების, მოედნების, სკვერების, ეზოების, სპორტული მოედნების და სხვა მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციის შედგენა;

საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით);

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციის შედგენა;

წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების, შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა;

ქ. ბათუმში, დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მომსახურება.

1.6.3 საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ფარგლებში შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან მათი რეაბილიტაციის შემთხვევაში, ასევე ავარიული, სარემონტო ან/და დაზინებული შენობა ნაგებობების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა ბინის ქირითა და საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა; მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საკომპენსაციო (სარემონტო) თანხების გაცემა; 'ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების (შეერთების) პროექტის ფარგლებში (ქ. ბათუმი გორგასალის ქუჩა N150) საკომპენსაციო თანხების გაცემა (ქონების/მიწის გამოსყიდვა); ინფრასტრუქტურული პროექტი - გზის მოწყობის პროექტის ფარგლებში (ქ. ბათუმი გონიოს დასახლება) საკომპენსაციო თანხების გაცემა (კერძო საკუთრების ქონების/მიწის გამოსყიდვა); ინფრასტრუქტურული პროექტი - გზის მოწყობის პროექტის ფარგლებში (ქ. ბათუმი გონიოს დასახლება) საკომპენსაციო თანხების გაცემა (კერძო საკუთრების ქონების/მიწის გამოსყიდვა); ინფრასტრუქტურული პროექტი - გზის მოწყობის პროექტის ფარგლებში (ბათუმი, ქუჩა გენ. ა. აბაშიძე I ჩიხი N20) საკომპენსაციო თანხების გაცემა (კერძო საკუთრების ქონების/მიწის გამოსყიდვა); ქ. ბათუმში, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩის და გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობის პროექტის ფარგლებში საკომპენსაციო თანხების გაცემა (ქონების/მიწის გამოსყიდვა).

1.7 ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამის მიზანია - ქალაქში სადღესასწაულო გარემოს შექმნა.

ქალაქ ბათუმში სათანადო ყურადღება ეთმობა ქალაქის სადღესასწაულო გაფორმებებს, რადგან აუცილებელია შეიქმნას ბათუმელებისა და ქალაქის სტუმრებისათვის სადღესასწაულო განწყობა. უკანასკნელ წლებში, ქალაქში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შემოქმედებითი პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების წყალობით გაჩნდა გაფორმების ახალი, უფრო სრულყოფილი საშუალებები. მათი მაქსიმალური დატვირთვით შესაძლებელი გახდება ქალაქის სივრცის ოპტიმალური და ეფექტური გამოყენება სადღესასწაულო და საინფორმაციო თვალსაზრისით.

ქალაქში სადღესასწაულო გარემოს შექმნა, რომლის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;
- ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შექმნილია სადღესასწაულო გარემო.

1.7.1 ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 07 01)

სამობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

ქალაქ ბათუმში, სამობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმებისათვის საახალწლო მანათობელი კონსტრუქციების და სხვადასხვა მოწყობილობების შესყიდვა;

ქალაქის მამტაბის საახალწლო დიზაინის/კონცეფციის შექმნა;

ქ. ბათუმში, გმირთა ხეივანში 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალთან საინფორმაციო დაფის მოწყობა.

- 1.7.2 ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდეზი 02 07 02)**
ქალაქ ბათუმში სხვადასხვა სახის სამხატვრო გაფორმებითი სამუშაოები
ქალაქ ბათუმში დროშების შექმნა/მონტაჟითა და დემონტაჟით;
ქალაქ ბათუმში საცხოვრებელი სახლების საინფორმაციო ფირნიშების შექმნა-მონტაჟი, ქუჩის მიმართულების მანიშნებელის შექმნა-მონტაჟი;
ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება;
ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა, შეკეთება-მოწყობა;

2 პრიორიტეტი: ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)

2.1 ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

